



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 115

29 მარტი
“ --- ” ----- 2024 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანულის კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის №24.254.293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 26 მარტის №24.496.574 განკარგულების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება, „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის №42 განკარგულებაში და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

--/--/2024 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1 საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთი მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი [●] მიერ და მეორე მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს (ს/ნ: 204976302) (შემდგომში - „ქონების შემძენი“) მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო №11 (შემდგომში ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1.2 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას: ქალაქ თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებულ 2 023 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.112) (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“); უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი: [●];

1.3 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: ქალაქ თბილისში, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის მდებარე 318 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობა №1-ს (საკადასტრო კოდი: №01.15.03.004.023);

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №[●] - მომზადების თარიღი[●]

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

2.1 ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების პირობებად განისაზღვროს:

ა) ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის გზით, ამ ხელშეკრულების ვაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ბ) სააგენტოს მიერ წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთარი ხარჯით, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე განთავსებული

შენობა-ნაგებობების (არსებული ავტოგასამართი სადგური და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) დემონტაჟი და აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, უძრავ ქონებაზე განთავსებული მოძრავი ქონება, ასევე, დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება ეკუთვნის ქონების შემძენს.

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, მაგრამ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააგენტოს წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა, წერილობით მიმართოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (შემდგომში - „დასკვნა“) მომზადების მოთხოვნით, რომლითაც შეფასებული იქნება, ერთი მხრივ, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის მიზნით, ქონების შემძენის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები (შემდგომში - „დემონტაჟის ხარჯები“) და მეორე მხრივ, უძრავ ქონებაზე განთავსებული, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი (საბაზრო) ღირებულება (შემდგომში ერთობლივად - „მოძრავი ქონების ღირებულება“). ამ პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მომზადება და სააგენტოსთვის წარდგენა ქონების შემძენმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მიმართვიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, მაგრამ დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) თვისა.

დ) იმ შემთხვევაში, თუ მოძრავი ქონების ღირებულება გადააჭარბებს დემონტაჟის ხარჯებს, მათ შორის სხვაობა გამოაკლდება ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებულ ფასთა შორის სხვაობას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დროისათვის 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ფასთა შორის სხვაობა ანაზღაურებულია, რის გამოც შეუძლებელია მისთვის მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობის გამოკლება, ქონების შემძენი ვალდებულია, დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მოძრავი ქონების ღირებულებასა და დემონტაჟის ხარჯებს შორის სხვაობა გადაუხადოს მუნიციპალიტეტს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

ე) იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის ხარჯების ღირებულება გადააჭარბებს მოძრავი ქონების ღირებულებას, მათ შორის სხვაობა ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება.

2.2. პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“. საჯარო რეესტრის მიერ პრივატიზების საგანზე აღნიშნული ვალდებულება გაუქმდება ამ მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, სააგენტოსთვის ქონების შემძენის წერილობითი მიმართვისა და სააგენტოს მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების შესახებ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულების 1.3. პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2 პრივატიზების საგანი ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის გარეშე და არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

3.3 ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე (პრივატიზების საგანზე) საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით.

4.2 ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. უძრავი ქონებები არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით.

4.3 მხარეები თანხმდებიან, რომ №01.13.02.001.112 და №01.15.03.004.023 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 663 832 (ექვსას სამოცდასამი ათას რვაას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით (შემდგომში - „ფასთა შორისი სხვაობა“), ანაზღაურდება შემდეგი წესით:
 ა) შპს „ლუკოილ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „ლუკოილ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მიმართავს საუკეთესო ძალისხმევას, რათა მოიძიოს და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ თანხმობის შემთხვევაში, საკუთრების უფლებით გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ფასთა შორისი სხვაობის არსებითად მსგავსი ღირებულების მქონე უძრავი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხზე, „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ფასთა შორის სხვაობის კომპენსაცია ფულადი სახით.

- 4.4 სააგენტოსთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია სარგებლობის უფლება სერვიტუტის ხელშეკრულების საფუძველზე (№012000008190; 17/10/2000;) და აღნიშნული არ მიიჩნევა მითითებული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.
- 4.5 ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების ხარისხი და ნივთობრივი მდგომარეობა შეთანხმებულია მათ შორის.
- 4.6 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- 4.7 ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
- 4.8 ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას და განვითარებისას დაიცვას კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.
- 4.9 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა.
- 4.10 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დამატებითი ვადის განმავლობაში შეუსრულებლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს.
- 4.11 ამ მუხლის 4.10 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი (ან/და მისი გამიჯვნის შედეგად, ან/და სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან/და ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მიექცევა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში), ხოლო ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება უბრუნდება ქონების შემძენს დაბრუნების დროისათვის არსებულ მდგომარეობაში. ამასთან, ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე მის მიერ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მდებარე შენობა-ნაგებობ(ებ)ისა ან/და მოძრავი ქონების ღირებულებას, ასევე, დემონტაჟის ხარჯებს
- 4.12 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების მომენტისათვის ყველა შესაძლოდ არსებული კომუნალური გადასახადის და დავალიანების გადახდა, უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში

წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.13 ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების მოხსნა კომუნალური სააბონენტო აღრიცხვიდან (აღრიცხულ აბონენტად არსებობის შემთხვევაში) მისი თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვისა. აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა შესაძლოდ გამოვლენილი კომუნალური გადასახადის/დავალიანების გადახდა სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

4.14 ქონების შემძენის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი საპრივატიზებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ქონების შემძენი ვალდებულია სააგენტოს გადაუხადოს პირგასამტეხლო, თითოეული დარღვეული ვალდებულებისთვის ცალ-ცალკე - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

4.15 ქონების შემძენის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების (გარდა საპრივატიზებო ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ქონების შემძენი ვალდებულია სააგენტოს გადაუხადოს პირგასამტეხლო, თითოეული დარღვეული ვალდებულებისთვის ცალ-ცალკე - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

4.16 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

4.17 ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 5. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

5.1 ხელშეკრულება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, იგი გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

6.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

6.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
